ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #223

ქ. სიღნაღი 13 ოქტომბერი 2015წელი

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის დავით ჯანიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ინტერ პლიუსი'' (შემოდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ილია გოგინაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.7. „ტექნიკური დავალება“ –გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანია

2.1 ხელშეკრულების საგანია : **ქ. წნორში ალაზნის ქ-ზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები**

2.2 ხელშეკრულებით გათვალიწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2126 ლარი**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა, ვალუტა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება **ცენტრალური ბიუჯეტიდან (2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულება.)**

4.3 საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება სახელშეკრულებო თანხის 40%-ის ოდენობით, საბანო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

მუხლი 5 ფასები

5.1 შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვალ დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემტხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

6.1 შესყიდვის ობიექტია : ქ. წნორში ალაზნის ქ-ზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები
6,2 შესყიდვის კოდი 45300000

მუხლი7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1 სამუშაოს შესრულების ვადაა ; 13 ნოემბრის ჩათვლით
7.2 სამუშაოების ადგილი ქ. წნორი

მუხლი8. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. (ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტში უნდა მითიებული იყოს: გაწეული მომსახურების დასახელება, გაწეული მომსახურების მოცულობა, გაწეული მომსახურების ღირებულება).
8.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოს დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
8.3 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1. ბაადურ მილაშვილი
2. ნოდარ დათუკიშვილი
3. თამაზ მათეშვილი

8.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმებისშედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.5 შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
8.6.სამუშაოს შემდგომო საგარანტიო ვადა -1 წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყვლელა დეფექტი და ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 30(ოცდაათ) კალენდარულ დღეში

მუხლი 9. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
9.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება,
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პიროების დაცვით.
9.2.2 დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
9.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დავით.
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1 გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
9.4.2 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.
9.4.3 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუტარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადცილებულ დღეზე შეუსრულებული ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
10.2 საჯარომო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი მოვალეობის შერულებისაგან.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შესყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.3 შემსყიდველს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:
ა) თუ მიმწოდებელი არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას,
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს,
გ) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 3%-ს.
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშNული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშNულის არსებობის შემტხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2 დაუძლეველი ძალა ეს არის ის გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნდა წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წაინააღმდეგ შემტხვევაში მხარე არ განთავსიუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.
12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემტხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავსი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.
14.5 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.
14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და იანხება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი ინახება მიმწოდებელტან, სამი - შესყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელმოწერა უნდა შეწსრულდეს ქართულ ენაზე.
14.7 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შპს ,,ინტერ პლიუსი''
ს/კ 240417223	ს/კ240420193
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს ,,საქართველოს ბანკი''
კოდი TRESGE 22	ს/კოდი BAGAGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022	GE362BG0000000895962601
სიღნაღის მუნიციპალიტეტის	დირექტორი:
გამგებელი: /დ. ჯანიკაშვილი /	/ო. ბიძინაშვილი /